

# ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ეიჩე რენტალი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 4 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 205291441

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს; მოსამზადებელი სამუშაოები სამშენებლო მოედანზე, სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების იჯარა ოპერატორთან ერთად. იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა 8.

კომპანიისდამფუძნებლები არიან ლაშა ჯინჭარაძე 33%, კონსტანტინე კვერნაძე 34%, დიმიტრი კალანდაძე 33%. ხოლო დირექტორი ალექსი ასკურავა. საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 45000 ლარს.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად. წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის წარდგენას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

### 2.1) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

## **2.2) არამატერიალური აქტივები**

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

## **2.3) მარაგები**

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, იჯარა შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

## **2.4) დაბეგვრა**

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

## **2.5) შემოსავალი**

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

## 2.6) ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საქონლის რეალიზაციასთან/მომსახურების გაწევასთან.

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## 2.7) სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## 2.8) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## 2.9) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

## ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

|                                                     | საანგარიშგებო პერიოდის ბოლო<br>თარიღი | წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი | წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი |
|-----------------------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|--------------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                                     |                                       |                                         |                                            |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                         | 108,015                               | 293,205                                 | 4,172                                      |
| სავაჭრო მოთხოვნები                                  | 157,156                               | 571,505                                 | 1,137,173                                  |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი | 227,861                               |                                         |                                            |
| მარაგები                                            | 1160                                  | 170458                                  | 30,000                                     |
| - მზა პროდუქცია                                     |                                       |                                         |                                            |
| - სხვა                                              | 1160                                  | 170458                                  | 30,000                                     |
| საინვესტიციო ქონება                                 |                                       |                                         |                                            |
| სხვა მიმდინარე აქტივები                             |                                       |                                         |                                            |
| ბიოლოგიური აქტივები                                 |                                       |                                         |                                            |
| - თვითღირებულების მოდელით                           |                                       |                                         |                                            |
| - გადაფასების მოდელით                               |                                       |                                         |                                            |
| გუდვილი                                             |                                       |                                         |                                            |
| სხვა არამატერიალური აქტივები                        | 91,479                                |                                         |                                            |
| ძირითადი საშუალებები                                | 640,417                               | 1,059,391                               | 2,009,456                                  |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                   |                                       |                                         |                                            |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში |                                       |                                         |                                            |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                          |                                       |                                         |                                            |
| <b>სულ აქტივები</b>                                 | <b>1,226,930</b>                      | <b>2,095,401</b>                        | <b>3,180,801</b>                           |

|                                       |         |         |         |
|---------------------------------------|---------|---------|---------|
| <b>ვალდებულებები</b>                  |         |         |         |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება          |         |         |         |
| სავაჭრო ვალდებულებები                 | 136,101 | 117,628 | 838,705 |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები |         |         |         |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ    |         |         |         |
| საგადასახადო ვალდებულებები            | (6,964) | 37,634  | (5,217) |

|                                                                                             |                  |                  |                  |
|---------------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                                                  |                  |                  |                  |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                                                             | 504              |                  |                  |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები                                                          | 273,353          | 72,905           | 197,744          |
| მიღებული გრანტები                                                                           |                  |                  |                  |
| სხვა ვალდებულებები                                                                          |                  |                  |                  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                                    | <b>402,994</b>   | <b>228,167</b>   | <b>1,031,232</b> |
|                                                                                             |                  |                  |                  |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |                  |                  |                  |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 26,012           | 16,156           | 45,000           |
| საემისიო შემოსავალი                                                                         |                  |                  |                  |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                |                  |                  |                  |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                                                               | 797,082          | 1,850 236        | 2,104,569        |
| გადაფასების რეზერვი                                                                         |                  |                  |                  |
| სხვა რეზერვები                                                                              |                  |                  |                  |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                                | <b>823,936</b>   | <b>1,867,234</b> | <b>2,149,569</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                                               | <b>1,226,930</b> | <b>2,095,401</b> | <b>3,180,801</b> |

## ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

|                              | საანგარიშგებო პერიოდი | წინა საანგარიშგებო პერიოდი |
|------------------------------|-----------------------|----------------------------|
| <b>ნეტო ამონაგები</b>        | 1,781,354             | 5,003,720                  |
| საქონლის გაყიდვიდან          | 52,896                | 241,842                    |
| მომსახურების გაწევიდან       | 1,388,672             | 696,012                    |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | 339,786               | 3,981,716                  |

|      |  |        |
|------|--|--------|
| სხვა |  | 84,150 |
|------|--|--------|

|                                              |           |           |
|----------------------------------------------|-----------|-----------|
| <b>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b> | 1,143,534 | 2,816,407 |
| საწყისი მარაგები                             | 170 458   | 30,000    |
| მარაგების შესყიდვა                           | 974,235   | 2,957,708 |
| გადამუშავების დანახარჯები                    |           |           |
| საბოლოო მარაგები                             | 1160      | 170 458   |
| <b>საერთო მოგება</b>                         | 637,820   | 2,187,313 |

|                                          |             |             |
|------------------------------------------|-------------|-------------|
| სხვა შემოსავალი                          | 546,774     | 197,884     |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | (862,187)   | (964,062)   |
| ცვეთა და ამორტიზაცია                     | (318,863)   | (613,294)   |
| საპროცენტო შემოსავალი:                   |             | -           |
| საპროცენტო ხარჯი :                       | (3,635)     | (5,846)     |
| იჯარის ხარჯი                             | (90,952)    | (275,109)   |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | (334,989)   | (269,790)   |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>            | (1,063,852) | (1,930,217) |

**0**

|                          |           |         |
|--------------------------|-----------|---------|
| <b>საოპერაციო მოგება</b> | (426,032) | 257,096 |
|--------------------------|-----------|---------|

|                                                         |          |           |
|---------------------------------------------------------|----------|-----------|
| <b>გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</b>               |          |           |
| ფინანსური აქტივები                                      |          | -         |
| მარაგები                                                |          | -         |
| სხვა არაფინანსური აქტივები                              |          | -         |
|                                                         |          | -         |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან: | (12,582) | 11,156    |
| მიღებული დივიდენდები                                    |          | -         |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)           |          | (115,132) |

|                                                                             |           |         |
|-----------------------------------------------------------------------------|-----------|---------|
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან      |           | 153,120 |
| მოგების გადასახადი                                                          |           | -       |
| მოგება/(ზარალი)                                                             | (438,614) | 153,120 |
|                                                                             |           | 0       |
|                                                                             |           | 0       |
|                                                                             |           | 0       |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):                                           |           |         |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი |           | -       |
| სხვა                                                                        |           | -       |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                      |           | -       |
| მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)                                          | (438,614) | 153,120 |

|                                                 |           |           |
|-------------------------------------------------|-----------|-----------|
| კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) | 1,867,234 | 2,149,569 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...) |           |           |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)  | (614,540) | (406,611) |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში           | (438,614) | 153,120   |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                       | 9,856     | (28,844)  |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს           | 823,936   | 1,867,234 |

### ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

|                                                 | საანგარიშგებო პერიოდი | წინა საანგარიშგებო პერიოდი |
|-------------------------------------------------|-----------------------|----------------------------|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | (172,609)             | 300,190                    |

|                                                          |           |          |
|----------------------------------------------------------|-----------|----------|
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან        |           |          |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან           |           |          |
| <b>წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში</b> | (172,609) | 300,190  |
| სავალუტო კურსის ეფექტი                                   | (12,581)  | (11,157) |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში              | 293,206   | 4,172    |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>            | 108,015   | 293,205  |

დირექტორი  
ალექსი ასკურავა



დირექტორი : ალექსი ასკურავა